სიხარული და დიდება ჩვენს ქალებს!



ნახ. გ. იაშვილისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 47 (3531)

1968 წ. მარტი, ხუთშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

1962 წელი. მოსკოვი. ნ. გაფრინდაშვილმა ეს-ესაა დაამარცხა ე. ბიკოვა და მსოფლიო ჩემპიონის სახელი მოიპოვა. ხარობენ ჭადრაკის ჭეშმარიტი თაყვანისმცემლები. ნონა მათი კერპია. მასთან შეხვედრა ყველას სურს. ნონაც რამდენიმე დღეს რჩება დედაქალაქში, რათა ქომაგებს არ აწყენინოს.

და აი, ახალი ჩემპიონი მოსკოვის მწერალთა სახლს ეწვია. მას გამოჩენილი საბჭოთა პოეტი სერგეი მიხალკოვი ხვდება და გამარჯვებას ულოცავს.

ჭადრაკი ხალხთა მეგობრობის დიდი მთესველია, მისი ოსტატები კი მშვიდობის მოციქულნი არიან. ნონამ საბჭოთა და ქართული ჭადრაკის შნო და ლაზათი გააცნო ინგლისსა და ჰოლანდიას, შვეიცარია და იუგოსლავიას.. ყველგან, სადაც იყო, ჩვენი ხალხის გულითადი სალამი და კეთილი სურვილები ჩაიტანა.

ნონა ახლაც იუგოსლავიაშია. 8 მარტს იგი ბელგრადის ქალთა საერთაშორისო ტურნირში ჩაებმება. ჩემპიონს უძლიერეს მეტოქეებთან მოუწევს ჭიდილი, მაგრამ ყველაზე ძნელი მაინც მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთან ალა კუშნირთან ბრძოლა იქნება.

როცა ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს ვზეიმობთ, სიამაყით ვასახელებთ გამოჩენილ სპორტსმენ ქალებს, მათ შორის კი ჩვენს ნონას, რომელმაც დიდებით შემოსა საბჭოთა ჭადრაკი!



ამ სურათზე თქვენ ხედავთ ახალგაზრდა ნიჭიერ ჩოგბურთელს ლამარა მგალობლიშვილს, რომელსაც ბევრჯერ უსახელებია რესპუბლიკა მოსწავლეთა და იუნიორთა შეჯიბრებებში. ახლა იგი უკვე მოზრდილებთან ასპარეზობს, გულდაგულ ვარჯიშობს, ოსტატობას იმაღლებს.

ქალთა დღესასწაულს გილოცავთ, ლამარა, ახალ-ახალ წარმატებებს გისურვებთ წლევანდელ სპორტულ სეზონში.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

რეკორდით დაიწყო

ოლიმპიურმა ჩემპიონმა გ. პროზუმენშჩიკოვამ წლევანდელი სეზონი რეკორდით დაიწყო. ბრემენის (გფრ) 25-მეტრიან აუზში გამართულ მოცურავეთა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში 200 მეტრი ბრასით მან 2.40,0-ში გაცურა, რაც სსრ კავშირის ახალი რეკორდია. საბჭოთა სპორტსმენები ვაკთა ტურნირშიც ბრწყინვალედ გამოვიდნენ: 100 მეტრზე ბრასით ყველას აჯობა ი. მარჩუკოვმა — 1.06,5. II ადგილზე გავიდა გ. პროკოპენკო — 1.06,9, III — ვ. კოსინსკი — 1.07,4. ამავე სტილით 200 მეტრზე ასპარეზობა მოიგო პროკოპენკომ—2.24,8. კოსინსკი და მარჩუკოვი მომდევნო ადგილებს დასჯერდნენ. სსრ კავშირის გუნდს გამარჯვება მოუტანეს აგრეთვე ს. გუსევმა — 100 მ თავისუფალი სტილით — 53,6 და ა. დუნაევმა — 400 მ კომპლექსურ ცურაში — 4.47,0.

სამარცხვინო გადაწყვეტილება

ბუდაპეშტი, 6 მარტი. სამხრეთ აფრიკის კომუნისტურმა პარტიამ შემდეგი მოწოდებით მიმართა მსოფლიოს ძმურ პარტიებს: იმ შემთხვევაში, თუ მექსიკის ოლიმპიადაში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა მიიღებს მონაწილეობას, თამაშების ბოიკოტისკენ მოუწოდონ თავიანთი ქვეყნების ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს.

ბუდაპეშტის საკონსულტაციო შეხვედრის მონაწილე სამხრეთ აფრიკის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ განცხადება გააკეთა უნგრეთის საინფორმაციო სააგენტოსთვის. ამ განცხადებაში ნათქვამია, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება მომავალ ოლიმპიადაში სამხრეთ აფრიკის მონაწილეობის შესახებ „სამარცხვინოა“.

„ფერადკანიანი სპორტსმენების მიმართ დისკრიმინაცია სამხრეთ აფრიკაში კვლავ გრძელდება, — ნათქვამია განცხადებაში. — ჩვენ მხარს ვუჭერთ იმ აფრიკელ ქვეყნებს, რომლებმაც განაცხადეს, რომ მექსიკაში გუნდებს არ გაგზავნიან, თუ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სამარცხვინო გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.

საბჭოთა კავშირის ოლიმპიურმა კომიტეტმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეს გადაწყვეტილება სავსებით სამართლიანად შეაფასა, როგორც ოლიმპიური ქარტიის უხეში დარღვევა“. (საკდესი).

ჯეკლი ჯეგეგი

● **ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ს. როუზმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში ჩატარდება არგენტინაში.**

● ქრასნოიარსკი, 5 მარტი. სვერდლოვსკის არმიელებმა პირველობა ბურთიან ჰოკეიში სსრ კავშირის ჩემპიონატის დამთავრებამდე 2 ტურით ადრე გაინაღდეს. მათ ფრედ (4:4) დაამთავრეს შეხვედრა ადგილობრივ „ენისეისთან“ და მეცხრედ დაისაკუთრეს ოქროს მედლები.

● **რომი, 5 მარტი.** მოფარიკავე ქალთა ევროპულ შეჯიბრებაში „მარტინის თასზე“ შესანიშნავად გამოვიდა მინსკის უნივერსიტეტის სტუდენტი ე. ნოვიკოვა, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო და დამსახურებულად მოიპოვა I ადგილი. II ადგილზეც საბჭოთა მოფარიკავე გავიდა — მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ა. ზაბელინა.

8 მარტი

ქალთა საერთაშორისო დღეა!

ჩვენი მეგობარი

არიან ადამიანები, რომლებიც სპორტსმენები არასოდეს ყოფილან, მაგრამ მუდამ იყვნენ სპორტსმენთა მეგობრები, გულშემატკივრები. მათ ისე ნათლად ახსოვთ თავიანთ კერპთა ყველა გარდასული ბრძოლა, თითქოს გუშინ დასწრებოდნენ. ეს კეთილი სულის მამულიშვილები გვილამაზებენ სპორტულ ცხოვრებას. ისინი ბევრნი არიან ჩვენში, მაგრამ პროფესორი რუსუდან ნიკოლაძე შრავალთაგან გამოირჩევა.

დიდი ქართველი პუბლიცისტის ნიკო ნიკოლაძის ასული, ცნობილი სპორტსმენების — პროფესორ გიორგი ნიკოლაძისა და თამარ ნიკოლაძე-მუსხელიშვილის და, რუსუდან ნიკოლაძე ახალგაზრდების დიდი მეგობარია. იგი უკვე ოცდაჩვიდმეტი წელია ხელმძღვანელობს ზოგადი და არაორგანული ქიმიის კათედრას საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მაგრამ სპორტი არასოდეს დავიწყებია. ეს, პირველ ყოვლისა, მამისეული ოჯახის ტრადიციაა, მაგრამ ღვაწლმოსილი მეცნიერი ბავშვობიდან თავადაც ჩაბმულია სპორტულ ცხოვრებაში.

ამას წინათ შინ ვეწვიე რუსუდან ნიკოლაძეს.

დიდად განათლებული მეცნიერი შესანიშნავი მოსაუბრეა. ხანდაზმულობას (ქალბატონი რუსუდანი 83 წლისაა) მისთვის ვერაფერი დაუკლია და ასე გგონია, შენს წინ ნამდვილი მემატიანეა.

— ჩვენი ოჯახის ცხოვრებაში სპორტს საკმაოდ დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი, — იგონებს რუსუდანი. — მამა გვიწყობდა ხელს. თავად ჭადრაკის ტრფიალი გახლდათ. ბავშვობაში მინახავს მისი პაექრობა ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ვანო მაჩაბელთან...

შემდეგ მე და გიორგის გვასწავლეს ჭადრაკი. ძალიან შეგვიყვარდა ეს თამაში. უფრო გვიან გიორგის ჭადრაკი მთამსვლელურ ლაშქრობებშიც დაჰქონდა.

ამ სიტყვებზე კეთილი მოსაუბრე ადგა, მეზობელ ოთახში გავიდა, ორი ყუთი შემოიტანა.

— აი, მამისეული ჭადრაკი. ამით დიდ ილიასა და მამას უთამაშიათ. სწორედ ეს დაჰქონდა გიორგიხ მთაში. ეს მეორე ჭადრაკი კი გიორგის ცნობილმა მეცნიერმა პლატონ ხელთუფლიშვილმა უსახსოვრა.

ვიცოდი, რომ ჩემი მასპინძლის ოჯახში მარტო ჭადრაკს როდი სცემდნენ პატივს. ქართული ტანვარჯიშისა და მთამსვლელობის განვითარება ნიკოლაძეების სახელთანაა დაკავშირებული.

— დიახ, ასეა, — მითხრა ქალბატონმა რუსუდანმა. — ტანვარჯიში გიორგისა და თამარის გატაცება იყო. მახსოვს, ინგლისის დიდ პირველობაში თამარმა ჩემპიონობა მოიპოვა. არასოდეს დამავიწყდება ის სიხარული, რომელიც მაშინ განვიცადე. სხვათა შორის, 1912 წელს პრაღაში მეც გახლდით ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ფორუმზე, რომელშიც სახელოვან გიორგი ეგნატაშვილთან ერთად ჩემი გიორგიც მონაწილეობდა. ის დღეები ნათელ მოგონებად დამრჩა.

მასპინძელი მცირე ხნით შეჩერდა, მოგონებებს მიეცა და შემდეგ ისევ განაგრძო:

— საქართველოს თითქმის მუდამ კარგი ტანმოვარჯიშეები ჰყავდა. ამას რომ მოსწრებოდნენ, გაიხარებდნენ გიორგი და თამარი. თუმცა, მათ ალბათ გულიც დაწყდებოდათ, რომ დღემდე არ შეიქმნა ქართული ტანვარჯიშული სკოლის მატიანე.

რუსუდან ნიკოლაძემ დიდი მზრუნველობა გამოიჩინა თავისი ძმის არქივის მიმართ. მან ბევრი რამ უსასყიდლოდ გადასცა თბილისისა და დიდი ჯიხაიშის მუზეუმებს. მისგან დიდძალი ძვირფასი ისტორიული მასალა მიიღო საქართველოს ალპურმა კლუბმა.

— ერთხელ მთამსვლელიც ვიყავი, — ამბობს ღიმილით ქალბატონი რუსუდანი. — 1912 წელს შვეიცარიაში 4500 მეტრზე ავსულვარ. უფრო კი ფეხით მოგზაურობა მიყვარდა.

დაუზარელი მასპინძელი საუბრის დროს ხანს სურათს მიჩვენებს, ხან გაზეთიდან ამოჭრილ რაიმე საინტერესო ცნობას.

კმაყოფილი დავემშვიდობე რუსუდან ნიკოლაძეს. გზად მიმავალი ვფიქრობდი, რომ ამ ხანდაზმული ადამიანის სულიერი სიმხნევის წყარო სპორტის დიდი სიყვარულიც არის. მაგრამ სპორტი მხოლოდ პატარა ნაწილია იმ დიდი ცხოვრებისა, რომლითაც ეს ამაგდარი მეცნიერი და მამულიშვილი ცხოვრობს.

თავს ნებას მივცემ, ჩვენს მეგობარს, პროფესორ რუსუდან ნიკოლაძეს ქართველი სპორტსმენების სახელით მივულოცო ქალთა შესანიშნავი დღესასწაული—8 მარტი და ვუსურვო მას ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე.

თ. ბიორგაძე.

* * *

სურათზე: პროფესორი რ. ნიკოლაძე.

ელეონორა როყვა ახლა თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის II კურსის სტუდენტია. მხატვრული ტანვარჯიში მას ბავშვობიდან უყვარს და მრავალ ახპარეზობაშიც უსახელებია თავი. აკი დაუფასდა კიდეც: სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა. ჯან შემდეგ ახალგაზრდა ტანმოვარჯიშის ოსტატობა უფრო დაიხვეწა. და აი, ელეონორა ახლაც სარბიელზეა — ქალთა დღისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მონაწილეობს. იქნებ ქალთა ზეიმის დღეს ყველაზე უკეთეს საჩუქარს თვით იმზადებს? სპორტი ხომ იმისაა, რომ გამარჯვების სიხარულით დატკბე და გულშემატკივრებიც შენი ოსტატობით დაატკბო.

ფოტო ე. რუსაკისა.

ჭეშმარიტი ადამიანის დაფნის გვირგვინი



მაგიდის ჩოგბურთის ევროპულმა კავშირმა მაინის ფრანკფურტში გამართულ თავის სხდომაზე დაამტკიცა კონტინენტის უძლიერეს მოთამაშეთა სია. საბჭოთა სპორტსმენი ზოია რუდნოვა (სტანისლავ გომოზკოვთან ერთად) ევროპის პირველ ჩოგნადაა დასახელებული.

როცა მოსკოველმა ზოია რუდნოვამ სსრ კავშირის მაგიდის ჩოგბურთელთა ჩემპიონატში მორიგი გამარჯვება მოიპოვა, ერთმა ჟურნალისტმა შენიშნა: ზოიამ თავისი სპორტული ბიოგრაფია ჩოგნით დაწერა.

ამ სიტყვებში არის ჭეშმარიტება. ამჟამად უცხო ენათა ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტს, სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ წევრს, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონს ზოია რუდნოვას ჩოგანი ისე უჭირავს, როგორც კალამი ან ფანქარი უჭირავთ ხოლმე.

ამას სპეციალისტები ჩოგნის აზიურად დაჭერას ეძახიან. ამ ხერხს დიდი ხანია წარმატებით იყენებს აზიის, განსაკუთრებით კი იაპონიის ბევრი ოსტატი.

1959 წელს აზიურად დაიჭირა ჩოგანი მოსკოველმა მოსწავლე ზოია რუდნოვამაც. თავიდან კი ასე დაიწყო:

... დარბაზში ნემსი არ ჩაავარდება. ის, ვინც ბილეთი ვერ იშოვა, გარეთ იცდის და პირველ ცნობებს ელის. თამაშობენ აზიისა და ევროპის უძლიერესი ჩოგბურთელები, რომელთაც ამხანაგური ტურნირი აქვთ საბჭოთა სპორტსმენებთან. ზოია რუდნოვას ბილეთი აქვს. მას ადრეც უნახავს, როგორ თამაშობდნენ ბიჭები ჩოგნებითა და პატარა, თეთრი ბურთით, მაგრამ ის, რაც ავვისტოს იმ საღამოს იხილა, არასოდეს დაავიწყდება. ყველა მოთამაშის ჩოგანში თითქოს პატარა მაგნიტი იყო ჩადგმული. სპორტსმენები თითქოს სწორედ ამ მაგნიტებით ახერხებდნენ ელვის უსწრაფესად მქროლი ბურთის დადევნებას, თავდაცვას და მძლავრ იერიშს.

ზოიას განსაკუთრებით დაამახსოვრდა იაპონელ ჩემპიონთა თამაში. მან შენიშნა, რომ იაპონელებს ჩოგანი განსხვავებულად ეჭირათ. თვითონ არასოდეს უცდია თამაში, მაგრამ ახლა მასაც მოსწყურდა, რომ ასევე თავისუფლად, ასევე ძალდაუტანებლად სჭეროდა ხელში ეს საოცარი მაგნიტური იარაღი.

სხვათა შორის, ტურნირის ერთ-ერთი მონაწილე, საბჭოთა ჩოგბურთელი ქალი ბალაიშიტე მაშინ სულ თერმეტი წლისა იყო, ზოიაზე ორი წლით უმცროსი...

— ამ შეჯიბრების ბევრი მნახველივით მეც გამაოცა მაშინ აზიელ სპორტსმენთა ოსტატობამ, — იგონებს ზოიას პირველი მწვრთნელი სერგეი შპრახი. — და როცა მორიგ მეცადინეობაზე მოსულმა ახალბედა გოგონამ მითხრა, ჩოგანი მეც მათებურად უნდა დავიჭიროვო, არ გამკვირვებია. პირიქით, გამეხარდა კიდეც ეს. ბოლოსდაბოლოს, ჩვენც ხომ უნდა გვეცადა აზიელთა მანერით თამაში.

ეს ახალბედა ზოია რუდნოვა გახლდათ. საბჭოთა სპორტსმენი ქალებიდან მან პირველმა დაიჭირა ჩოგანი აზიურად.

მაგრამ ეს კიდევ არაფერს ნიშნავდა. ზოიას უნდა ეასწავლა ბურთის „მართვა“, დიდი სისწრაფე, ელვისებური ნახტომები მაგიდასთან. ამიტომ შპრახის მოწაფეები სამეცადინო დროს თანაბრად ანაწილებდნენ სტადიონის სარბენ ბილიკზე და ჩოგბურთის მაგიდასთან.

ზოია ყოველ ახალ მეცადინეობაზე უფრო ღრმად სწვდებოდა საყვარელი თამაშის საიდუმლოს. სკოლაში რომ მიდიოდა, წიგნებთან და რვეულებთან ერთად ჩოგანიც მიჰქონდა. დიდი დასვენების ათ წუთსაც კი იგი მეგობრებთან სათამაშოდ იყენებდა.

ზოია ამ დროს უკვე მონაწილეობდა მოსწავლეთა საქალაქო შეჯიბრებებში. სკოლაში იგი იოლად უგებდა ბიჭებს და გოგონებს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ამას მოჰყვა პირველი წარმატებები ოფიციალურ შეჯიბრებებში. ზოიამ ნიჭიერებასთან ერთად დიდი შრომისმოყვარეობაც გაზოიჩინა, ნიჭისა და გულმოდგინეობის ასეთი შერწყმა კი ყველაზე უკეთესი გვირგვინია ჭეშმარიტი ტალანტისა.

ზოიას შეუძლია საათობით არ მოსცილდეს ჩოგბურთის მაგიდას, განსაკუთრებით კი სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრების წევრებთან ვარჯიში უყვარს. მათთან მეცადინეობა დიდად უწყობს ხელს ოსტატობის დახვეწაში, უძლიერესთან თამაშის დროს ხომ ყველაზე ცხადად სედავს საკუთარ ნაკლს. ამას გარდა, მარცხი, თუნდაც საწვრთნელ მოედანზე მოგვიდეს იგი, ერთგვარად ძალას გმატებს, საბრძოლველად გიწვევს.

ერთი სიტყვით, ზოიამ იცის, რომ გაამარჯვება იოლად არ მოდის და უკვე მოპოვებული წარმატების გამო გულდამშვიდებას არ ეძლევა. ევროპის საუკეთესო ჩოგბურთელი, ოფიციალური მსოფლიო კლასიფიკაციით მეოთხე ჩოგნად აღიარებული სპორტსმენი, კვლავ შეუპოვრად და გულმოდგინედ ვარჯიშობს. ახლა იგი მსოფლიო ჩემპიონთან, იაპონელ საბიკო მორისავასთან შეხვედრაზე ოცნებობს.

ამას წინათ საბიეზე გამოვიდა ახალი დუეტი — ვლადისლავ გომოზკოვი და ზოია რუდნოვა. მათ პრიველი წარმატება მოიპოვეს ინგლისის ღია ჩემპიონატში და მომავალში ალბათ ღირსეულ მეტოქეობას გაუწევენ საერთაშორისო ჩოგბურთის აღიარებულ წყვილებს.

ი. არუთუნიანი.

სურათზე: ზ. რუდნოვა ახპარეზობისას.

არც ისე სუსტია სუსტთა სქესი

სპორტსმენ ქალთა მიღწევებზე ალბათ ხშირად გსმენიათ სკეპტიკური შენიშვნები, მაგრამ საფუძვლიანად თუ გავერკვევით საქმეში, აღმოჩნდება, რომ ე. წ. სუსტთა სქესი არც ისე სუსტი ყოფილა. მსოფლიო სპორტის ისტორიამ მრავალი მაგალითი იცის, როცა ქალები როგორც ტოლი — ტოლს, ისე უჯიბრებოდნენ ვაჟებს და ხშირად გამარჯვებასაც აღწევდნენ.

● რამდენიმე წლის წინ ასეთი შემთხვევა მოხდა: მოსკოვის პირველობაზე ტყვიის სროლაში სტუდენტმა გოგონამ ე. ლიმარენკომ წოლილა მდგომარეობიდან მცირეკალიბრიანი შაშხანით 589 ქულა დააგროვა 600 შესაძლებლიდან და მოსკოვის ჩემპიონი გახდა. რამდენიმე ათეული ოსტატი ვაჟიდან ვერც ერთი ვერ მიუახლოვდა ამ შედეგს.

● 1965 წელს ბრაზილიის კალათბურთელთა გუნდი ევროპაში გამგზავრების წინ 4 საწვრთნელ მატჩში შეხვდა ვაჟთა გუნდებს. ყველა შეხვედრა მოიგეს ... ქალებმა.

● მსოფლიო ჩემპიონი ქალთა შორის ნ. გაფრინდაშვილი ხშირად მონაწილეობს ვაჟთა შორის ჰასტინგსის ტურნირში. ჩვენი მოჭადრაკე, როგორც იცით, მაღალ შედეგებს აღწევს ამ დიდ და ძნელ ტურნირში.

ნ. გაფრინდაშვილის მიერ დამარცხებულმა ერთ-ერთმა ინგლისელმა მოჭადრაკემ ო. ჰინდმა გულახდილად აღიარა: „დამრჩენია ვთქვა მხოლოდ ის, რომ ჯენტლმენის მოსაზრებით წავაგე პარტია ქალთან. მეტი გასამართლებელი არაფერი მაქვს...“

● ვის შეუძლია სპორტსმენი ვაჟებიდან დაიკვეხოს, რომ სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი პირველად მოიპოვა 60 წლის ასაკში? უცნაურია, არა? მაგრამ სპორტსმენმა ქალმა ეს შეძლო: უკრაინელმა ვ. კოპაჩინსკაიამ, ჭიღარა, მაგრამ ახალგაზრდული აგებულების ქალმა, 58 წლის ასაკში შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა მშვილდოსნობაში. 60 წლისა კი იგი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი იყო!

● მარათონული რბენა ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და დამქანცველი სახეობაა და სპორტსმენს (ლაპარაკია, რა თქმა უნდა, ვაჟებზე) ფინიშის შემდეგ ზოგჯერ რამდენიმე საათი და დღეც კი ჭირდება ნორმალურ მდგომარეობაში დასაბრუნებლად. მართალია, ვაჟებს შესანიშნავი შედეგები აქვთ მარათონულ დისტანციაზე, მაგრამ აბა რომელი მათგანი შეძლებს იმას, რაც გააკეთა ახალშელანდიელმა დიასახლისმა, 2 შვილის დედამ მ. სემსონმა.

მ. სემსონმა ერთხელ 3 საათში, 9 წუთსა და 33 წამში გაირბინა მარათონი (42 კმ, 195 მ), რის შემდეგ პირდაპირ სამშარეულოში გაემართა და მოამზადა გემრიელი, ასევე „მარათონული“ ვახშამი 11 კაცისთვის.

სპორტიანი ვიკვირვალ ვიკვირვალ

3 მარტს დაიწყო საქართველოს მორიგი, XXX ჩემპიონატი ფეხბურთში. რესპუბლიკის 10 ქალაქსა და რაიონულ ცენტრში შედგა პირველი მატჩები.

● „სულორი“ (ვანი) — „ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) 2:1. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

დებიუტანტის — ადგილობრივი „სულორის“ პირველ მატჩს წვიმიანი ამინდი დაესწრო. მძიმე მინდორზე ორივე მოწინააღმდეგე ხშირად უშვებდა ტექნიკური ხასიათის შეცდომებს. ტაიმს შედეგი არ მოუცია. მეორე ნახევრის დასაწყისში სოსელიამ ლამაზი ბურთი გაიტანა სტუმრების კარში. წარმატებით გამხნევებულმა მასპინძლებმა ანგარიში 2:0-მდე აიყვანეს და მეორე გოლის ავტორიც ისევ სოსელია იყო. მხოლოდ მატჩის დასასრულს შეძლო ნოღიამ ერთი საპასუხო ბურთის გატანა.

● „გარეჯი“ (საგარეჯო) — „სამცხე“ (აწყური) 3:1. მსაჯი ლ. ღონღაძე (თბილისი).

სწრაფი ურთიერთ შეტევების შემდეგ მე-10 წუთზე იმედაშვილმა გაგზავნა ბურთი აწყურელთა კარში. ამას მოჰყვა გულისაშვილის შეორე გოლიც და საგარეჯოელები შესვენებაზე საკმარისი უპირატესობით წავიდნენ. მეორე ტაიმში მოწინააღმდეგეებმა თითო ბურთი გაიტანეს და გამარჯვება დარჩა „გარეჯს“.

● „ფეიქარი“ (წულუკიძე) — „სპარტაკი“ (ბორჯომი) 3:1. მსაჯი ა. ჯანანაშვილი (თბილისი).

● „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — ასკ (თბილისი) 2:1. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

პირველი ბურთი არმიელებმა თავიანთ კარში დასაწყისშივე მიიღეს, მაგრამ რამდენიმე ძლიერი საიერიშო კომბინაცია გაითამაშეს და 35-ე წუთზე ცირკიძემ აღადგინა თანაფარდობა — 1:1. შესვენების შემდეგ არმიელთა მეკარემ ვერ შეძლო კულულაშვილის მიერ შორი მანძილიდან დარტყმული ბურთის აღება და მისმა გუნდმა დამარცხებულმა დატოვა მინდორი.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 0:0. მსაჯი მ. ხუტაბა (სოხუმი).

● „აერო“ (გალი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 3:1. მსაჯი ა. ჭკუასელი (თბილისი).

მასპინძლებმა დასაწყისიდანვე სწრაფი ტემპი შესთავაზეს მოწინააღმდეგეს. მათ ტემპიან თამაშს მოჰყვა ანჯაფარიძისა და მიქვაბიას მიერ გატანილი 2 გოლი. შემდგომში „აერო“ კიდევ უფრო დაწინაურდა (ეგგიშვილი), თუმცა ახალციხელებმა მაინც შეძლეს დაეღწიათ თავი „მშრალი“ ანგარიშით დამარცხებისთვის (გოლი გაიტანა ჯორბენაძემ).

● „სინათლე“ (თბილისი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 2:0. მსაჯი გ. პოღოსიანი (სოხუმი).

ინიციატივა პირველივე წუთებიდან თბილისელებმა აიღეს ხელი, რომლებიც შეუამჩნევად ჯობდნენ სტუმრებს როგორც ფიზიკური მომზადებით, ისე ტაქტიკური თამაშითაც. თავდამსხმელები ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს „ბახმაროს“ საჯარიმო მოედანზე, რომელთაგან შუბითიძემ და აიგაზოვმა ორი გოლებით დაამთავრეს.

● „დურუჯი“ (ყვარელი)—„ისანი“ (თბილისი) 4:0. მსაჯი ვ. გოგაშვილი (თბილისი).

მატჩის დასაწყისში ვერავინ იტყოდა, რომ „ისანი“ ასეთი დიდი ანგარიშით დამარცხდებოდა. თბილისელებს რამდენიმე სახიფათო შეტევაც ჰქონდათ, მაგრამ მასპინძლები უნარიანად იცავდნენ თავს და ასეთივე სახიფათო კონტრშეტევებზე გადადიოდნენ, რომელთაგან ერთ-ერთი ზუსტი დარტყმით დაამთავრა სამიტაშვილმა — 1:0. მეორე ტაიმში უპირატესობამ ბურთიანად „დურუჯის“ მხარეს გადაინაცვლა. ... ვეღარ უწევდნენ ... გობას მეტოქეს და მათ კარში ზედიზედ იქნა გატანილი კიდევ 3 ბურთი.

● „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) — „მშენებელი“ (სიღნაღი) 1:1. მსაჯი რ. გუდაძე (თბილისი).

მატჩი მეტად საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა. სიღნაღელებმა კარგად ჩაატარეს თამაში და პირველი ბურთიც სწორედ შარშანდელი ჩემპიონატის პრიზიორის კარში იქნა გატანილი ლაკერბაიას მიერ. წალენჯიხელები ბევრს ეცადნენ თუნდაც საპასუხო ბურთის გატანას და გუნდმა ეს შეძლო მხოლოდ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის წყალობით, რომელიც ზუსტად გამოიყენა შელიამ. სიღნაღელმა ფეხბურთელებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ლაითური“ (მახარაძე) 0:0. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

შ. შავგულიძის კრიზზე

„ბ“ კლასის გუნდების რესპუბლიკური ტურნირი

10 მარტის კალენდარი

I ჯგუფი

„დინამო“ (სოხუმი) — „მაღაროელი“ (ცაგერა)
„გურია“ (ლანჩხუთი) — „კოლხეთი“ (ფოთი)
„ინგური“ (ზუგდიდი) — „შუქურა“ (ქობულეთი)

II ჯგუფი

„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ალაზანი“ (გურჯაანი)
„დილა“ (გორი) — „მერცხალი“ (მახარაძე)

ფრე

სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

„ვარსკვლავებთან“

თბილისი. ზამთრის რესპუბლიკური საცურაო აუზი. 5 მარტი.

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) 4:4 (1:1, 1:1, 0:0, 2:2).

გოლების ავტორები: თბილისი: ისელიძე (4); მოსკოვი: გრიშინი (4).

მოსკოვის „დინამოს“, რომელშიც დღეს საყოველთაოდ ცნობილი ოსტატები გრიშინი, ჩიქვანაია, კარტაშოვი, სკოკი, ბარანოვი და სხვები თამაშობენ, „ვარსკვლავების გუნდს“ უწოდებენ. ამიტომ თითქმის არავის ეეჭვებოდა, რომ წინადღით ლენინგრადის „ბალტიკასთან“ შეხვედრაში „ნოკაუტირებული“ თბილისელები ამჯერადაც დაყრიდნენ ფარ-ხმალს. მატჩი კი სულ სხვაგვარად წარიმართა. მწარე გაკვეთილს მასპინძლებისთვის, როგორც ჩანს, უქმად არ ჩაუვლია და მოსკოველებთან მატჩში გუნდის ყოველმა წევრმა შესაძლებლობის მაქსიმუმი გამოავლინა. თბილისის დინამოელები ამჯერად უფრო სწორად გააზრებული ტაქტიკით მოქმედებდნენ: თითქმის ყოველი მათგანი გამსვლელი მოთამაშის როლს ასრულებდა. კოლექტივი ერთსულოვანი იყო და სწორედ ამ კოლექტიურობამ განაპირობა (განსაკუთრებით I-II პერიოდებში და IV პერიოდის ბოლოს) კიდეც ძლიერ მეტოქესთან თანაბარძალოვანი თამაში. „ვარსკვლავების გუნდში“ კი ამგვარი ერთსულოვნება არ იგრძნობოდა. ეს გასაგებიცაა: მოსკოველებმა მოსამზადებელ პერიოდში შეთამაშება ვერ მოასწრეს და ამ პრობლემის გადაწყვეტა თბილისში უხდებათ.

ერთ ხანს ეფიქრობდით, რომ სტუმრები ამ ნაკლს კარგი ფიზიკური მომზადებით აინაზღაურებდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. საერთოდ კი ბრძოლა იმდენად უშეღავათო იყო, რომ რვავე გოლი 4-მეტრიანი საჯარიმოებიდან გავიდა!

თამაშის ბოლოს თბილისელთა ბედი ბეწვზე ეკიდა. მსაჯთან შელაპარაკების გამო არბიტრმა მომინოშვილი გაიძეა (მოთამაშის შეცვლის უფლებით). ამ დროს მოსკოველები წინ იყვნენ (3:2), მაგრამ მალე ისინიც დაისაჯნენ (4-მეტრიანი საჯარიმოთი) და წონასწორობა ისევ აღსდგა — 3:3. ბოლო წუთზე კვლავ სტუმრები დაწინაურდნენ, მაგრამ მატჩის დამთავრებას რაღაც წამები რომ აკლდა, ანგარიში კვლავ საყოველთაო გახდა.

ერთი სიტყვით, მასპინძლებმა მრისხანე მეტოქესთან საპატიო ფრეს მიაღწიეს. თუ ასე გააგრძელეს, თბილისელებმა საბოლოოდ ცუდი შედეგი არ უნდა მოიპოვონ.

„დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (ლვოვი) 3:0. (0:0, 1:0, 0:0, 2:0).
კიევი: სნასტინი (1), ბონდარენკო (2).

ამ ორი უკრაინული გუნდის შეხვედრები მუდამ პრინციპული იყო და თითქმის მუდამ ფრედ მთავრდებოდა. ამჯერად მოლოდინი არ გაბრალებულა. კიეველებმა შედარებით იოლ გამარჯვებას მიაღწიეს. ლვოველთა წარუმატებლობა ერთგვარად იმანაც განაპირობა, რომ მათი გუნდის მთავარ ლიდერს ემუდსკის ერთი თამაშით დისკვალიფიკაცია მიეცა მოსკოვის ტორპედოელებთან მატჩში შეუფერებელი საქციელისთვის. ბუნებრივია, ამ სასჯელით მთელმა კოლექტივმა იზარალა.

კასპიის ფლოტილია (ბაქო) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 2:2 (0:0, 1:1, 1:0, 0:1).
კასპიის ფლოტილია: ბორტკევიჩი (2); „ტორპედო“: ლობანოვი (1), ხოტი (1).

ბაქოელებმა მეორე მატჩიც კარგად ჩაატარეს. მათ კიდევ ერთ ძლიერ მოსკოვის კოლექტივს აართვეს ქულა. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში ტორპედოელებმა გოლის გატანის ბევრი შესაძლებლობა დაკარგეს.

„სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი) 0:4 (0:0, 0:3, 0:0, 0:1).
საწყლოსნო სპორტკლუბი: შიდლოვსკი (1), ვ. აკიმოვი (2), ა. აკიმოვი (1).

ფლოტელებმა მატჩი დამაჯერებლად ჩაატარეს. ისინი მთელი შეხვედრის მანძილზე თანაბრად, თუ შეიძლება ითქვას, ეკონომიურად ანაწილებდნენ ძალას, უმთავრეს ყურადღებას აქცევდნენ მეტოქეთა შეცდომებს, რომელთაც უმრავლეს შემთხვევაში ზუსტად იყენებდნენ. ვოლგოგრადელების იერიშის დროს მოსკოველები ხშირად მეტოქეს ფლანგებს ღიად უტოვებდნენ და კარისკენ ბურთის ტყორცნის საშუალებას აძლევდნენ. აქედან კი, როგორც წესი, ნაკლებად ტექნიკურ გუნდს გოლის გატანის შანსი თითქმის არა აქვს. ამ ვითარებაში მეკარეს სრულიად არ უჭირდა ვითომდა დაძაბული ვითარების გაქარწყლება და ფლოტელები უმალ ახალ შეტევით ოპერაციებს იწყებდნენ.

„ბალტიკა“ (ლენინგრადი) — მოსკოვის უნივერსიტეტი 4:3 (1:0, 1:1, 1:1, 1:1).
„ბალტიკა“: ისიანოვი (3), ბურიხინი (1); მოსკოვის უნივერსიტეტი: ზელენცოვი (1), პოპოვი (1), კუზნეცოვი (1).

„ბალტიკამ“ ახალი სიურპრიზი შეგვთავაზა და ამჯერად მისი „მსხვერპლი“ მოსკოველ სტუდენტთა გამოცდილი კოლექტივი იყო. ამ შვიდოიოდე წლის წინ ლენინგრადელი წყალბურთელები საშიშ ძალას წარმოადგენდნენ, შემდეგ კი კარგა ხანს მოკრძალებული ადგილი ეჭირათ საკავშირო ჩემპიონატების ცხრილში, როგორც ჩანს, ახლა ისინი კვლავ აგრესიულად არიან განწყობილი. დღეს ამ გუნდში ტიტულოვანი მოთამაშეები არ გამოდიან, მაგრამ კოლექტივს ორივე განვლილ მატჩში საკმაოდ მონოლითური სახე ჰქონდა.

კიდევ ერთი საკითხი: საკვირველია, რომ ზამთრის რესპუბლიკურ აუზში ცივი წყლის მიწოდება სწორედ მაშინ შეფერხდა, როცა ჩემპიონატი მიმდინარეობდა. უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ, 4 მარტს აუზში წყალს დროდადრო იღებდნენ, ხოლო 5 მარტს დილიდან საღამოს 7 საათამდე სულაც არ მიუღიათ. რას გვეტყვიან საქალაქო მეურნეობის მუშაკები, რომელთაც ამ საკმაზე პასუხისმგებლობა აკისრიათ?

ჯ. ენუქიძე.

მოხდება თუ არა სენსაცია?

თბილისი. სპორტის სასახლე. 5 მარტი.

„დინამო“ (თბილისი) — „კალევი“ (ტარტუ) 71:69 (33:36).

„დინამო“: სხიერელი (9), უგრეხელიძე (12), ალთაბაევი (16), ნარიმანიძე (5), ჭორჭია (19), მაღალაშვილი (10), ლეჟავა, ქარაბაკი.

„კალევი“: ლეპმეტსი (22), იანსი (9), ლილი (18), პარბო (12), მეტიკი (2), მეტსარი (2), ლენსნოსი (4).

მსაჯები: ა. ზინნენკოვი და ფ. კერზონი (ორივე — მოსკოვი).

კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო მატჩებმა ცხადყო, რომ ლენინგრადის „სპარტაკი“ სერიოზულად ემზადება დიდი სენსაციისთვის. თავად განსაჯეთ: ნევის ქალაქის კალათბურთელებს დღეისთვის დაგროვილი აქვთ ყველაზე ბევრი ქულა და დაკარგული — ყველაზე ცოტა. მაგრამ საქმე მხოლოდ ქულები როდია. მომზხილველები ერთსულოვნად აღნიშნავენ სპარტაკელთა მაღალ საბრძოლო თვისებებს, განსაკუთრებით ბოლო მატჩებში. შეძლებს თუ არა ლიდერი თავისი მაღალი მდგომარეობის შენარჩუნებას, ამას მომავალი გვიჩვენებს. ჩვენ მხოლოდ შეგახსენებთ, რომ ლენინგრადის გუნდს სათამაშო დარჩა თბილისში, კიევსა და მოსკოვში.

მაგრამ წარუმატებლობის შემთხვევაშიც საეჭვოა, რომ სპარტაკელების გაძევება პრიზიორთა წრიდან იოლი საქმე იყოს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ისინი საკუთარ მოედანზე აღარ მარცხდებიან, ეს კი წარმატების სულ ცოტა, ორ მესამედს ნიშნავს. გუშინწინ ლენინგრადელებმა დაამარცხეს რიგის ვეფ-ი — 76:51.

ცსკა ბოლოსდაბოლოს შინ დამკვიდრდა. იგი თავის მოედანზე ზედიზედ მ მატჩს გამართავს. ცხადია, არმიელები ყოველმხრივ შეეცდებიან აღიდგინონ დანაკლისი. მ ქულა რვიდან — ასეთია გუნდის დევიზი მოცემულ ეტაპზე. გუშინწინ არმიელები შეუდგნენ თავიანთი გეგმის განხორციელებას. მათი პირველი „მსხვერპლი“ ბაქოს „ბურევესტნიკი“ გახლდათ — 95:71.

„ურალმაშში“ დღესდღეობით თავის მოედანზეა „ჩასაფრებული“ და მშვიდად ელოდება ბაქოს „ბურევესტნიკს“, გუნდს, რომელთანაც აქვს მთავარი დავა. თუ ამ პერიოდში მან მოულოდნელად წაართვა რომელიმე გუნდს ქულა, მით უკეთესი. ასეთი სასიამოვნო „საჩუქარი“ ამ დღეებში „ურალმაშმა“ კიევის „სტროიტელისგან“ მიიღო. მართალია, მასპინძლების უპირატესობა მხოლოდ ერთი ქულით გამოიხატებოდა (69:68), მაგრამ გამარჯვებისთვის ესეც საკმარისი იყო. მეორე შეხვედრაში უკრაინელებმა კანონიერი ქულა აიღეს — 54:46.

დაბოლოს, თბილისის დინამოელებზე. მათი მეორე შეხვედრა ტარტუს „კალევთან“ ისეთივე ძნელი და პასუხსაგები იყო, როგორც პირველი. ესტონელებმა ყველაფერი იღონეს რევანშის მისაღწევად. ისინი ახლოს იყვნენ კიდეც გამარჯვებასთან, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში, საერთოდ მშვიდ და თავდაჭერილ ჩრდილოელებს ნერვებმა უმტყუნეს.

გადახედეთ სამაჯო ოქმს. იგი თვალნათლივ მეტყველებს, რომ ამ მატჩში მთავარი სიმძიმე თავის ზურგზე სტუმრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა და კაპიტანმა ლეპმეტსმა გადაიტანა, რომელიც მეტად აგრესიულად მოქმედებდა მეტოქის ფარქვეშ. ლეპმეტსს აქტიურად უჭერდა მხარს ტანმორჩილი გამთამაშებელი ლილი — გუნდის მთავარი დირიორი. სტუმართაგან საუკეთესო შთაბეჭდილება სწორედ ამ ორმა კალათბურთელმა დატოვა. რაც შეეხება მასპინძლებს, მათ მთელი თამაში თავგანწირულად და მონდომებით ჩაატარეს.

ნ. გუგუშვილი.

სურათზე: დინამოელი ს. მაღალაშვილი, გუშინწინდელი წარმატების ერთ-ერთი ავტორთაგანი საჯარიმო სროლის დროს.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.



გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	27	20	7	1915—1806	20
„დინამო“ (თბილისი)	26	18	8	1925—1783	18
ასკ (კიევი)	26	18	8	1844—1698	18
ცსკა	27	16	11	1728—1659	16
„სტროიტელი“ (კიევი)	26	15	11	1722—1684	15
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	26	14	12	1874—1825	14
ვეფ (რიგა)	27	14	13	1920—1895	14
„კალევი“ (ტარტუ)	26	13	13	1714—1679	13
ასკ (რიგა)	26	11	15	1871—1888	11
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	24	11	13	1558—1526	11
„ბურევესტნიკი“ (ბაქო)	29	4	25	2102—2478	4
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	26	4	22	1734—2000	4

დაიმსახურეს...

საქართველოს სპორტკავშირში

ამა წლის 28 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლეში „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ კალათბურთელთა მატჩის დროს მოხდა უსიამოვნო ინციდენტი: ახალგაზრდა კალათბურთელებმა, სპორტის ოსტატებმა მ. ქორჭიამ („დინამო“) და ი. ლეჟავამ („ბურევესტნიკი“) ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ერთმანეთს.

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიურომ იმსჯელა კალათბურთელთა ამ და სხვა დარღვევებზე და სათანადო გადაწყვეტილებები მიიღო:

სპორტის ოსტატ ი. ლეჟავას („ბურევესტნიკი“) გამოეცხადა სასტიკი საყვედური. წესრიგის განმეორებით დარღვევის შემთხვევაში იგი დისკვალიფიცირებული იქნება. სპორტის ოსტატ მ. ქორჭიას („დინამო“) მიეცა გაფრთხილება. სპორტის ოსტატ ვ. ლომაძეს („ბურევესტნიკი“), რომელიც ადრე, ლენინგრადში, არასპორტული საქციელისთვის მოედნიდან იქნა გაძევებული, გამოეცხადა საყვედური. წესრიგის განმეორებით დარღვევის შემთხვევაში ლომაძეც დისკვალიფიცირებულ იქნება. სპორტის ოსტატ რ. მანაგაძეს („ბურევესტნიკი“) გამოეცხადა საყვედური. თუ აღნიშნული გუნდების კაპიტნები, საერთაშორისო სპორტის ოსტატი ა. სხიერელი („დინამო“) და სპორტის ოსტატი ა. გლურჯიძე („ბურევესტნიკი“) შემდგომშიც ვერ უხელმძღვანელებენ თავიანთ კოლექტივებს და ვერ დაამყარებენ სათანადო წესრიგს კალათბურთელებში, მათ მიმართაც მკაცრ ზომებს მიიღებენ.

კალათბურთის რესპუბლიკურ ფედერაციას, „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკურ საბჭოებსა და გუნდების ხელმძღვანელებს დაევალათ უმოკლეს ვადაში განიხილონ კალათბურთელებში დისციპლინის მდგომარეობის საკითხი.



რომ გვეკითხა, „მის ჩეხოსლოვაკიად“ ალბათ ბევრი ჰანა მაშკოვას დაასახელებდა. დიახ, ჰანა მაშკოვას. ამ სანდომიანმა სპორტსმენმა წელიწადი მოხიბლა ფიგურული სრიალის სპეციალისტები და მოყვარულები. გაიხსენეთ ვენტროსში გამართული ევროპის ჩემპიონატი, სადაც ჰანა ელვირეის ერთ-ერთ ძლიერ კონტინენტის ფიგურისტ ქალებს შორის. მან იქ საკვეთნად აღიარებული მოციგურავე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი გაბრიელა ზაიფერტიც კი ჩამოიტოვა. გაიხსენეთ ოლიმპიური გრენობლი, მსოფლიო ჩემპიონატის წლევანდელი დედაქალაქი — ჟენევა. ჰანამ ორივე შეჯიბრებაში III ადგილი დაიკავა. ამ ადგილს მას მეტად სამში მეტოქე — ავსტრიელი ფიგურისტი ბ. შუბა ეცილებოდა. გრენობლშიაც და ჟენევაშიც სავალდებულო პროგრამის შემდეგ სწორედ ეს უკანასკნელი დაწინაურდა, მაგრამ ნებისმიერი პროგრამით მაშკოვამ ბრწყინვალე შთაბეჭდილება მოახდინა და პრიზიორთა შორის დიმკვიდრა ადგილი.

სურათზე: ჰანა მაშკოვა.



ქალაქ მარქსის გამომგონებელ-მოყვარულებმა თავისი ხელით დაამზადეს მსუბუქი აერომარხილები, რომლებისთვისაც მოტოციკლის ძრავები („იჟ-49“) გამოიყენეს. ასეთი მანქანა საათში 70-80 კილომეტრს ანვითარებს.

ვოლგის გაყინულ ზედაპირზე ხშირად ნახავთ სპორტის ამ თავისებური სახეობის ენთუზიასტთა შეჯიბრებას.

ფოტო ე. სოკოლოვისა (საკდესი).



ევროპის ზამთრის მესამე...

როგორც ვიტყობინებოდით, ამას წინათ ოლიმპიურმა ჩემპიონმა რ. კლიმმა ტაშკენტში დაამყარა სსრ კავშირის ახალი რეკორდი ურის ტყორცნაში. ეს იყო მისი ბოლო გამოსვლა ზამთრის III ჩემპიონატის წინ, რომელიც შაბათ-კვირას მადრიდში გაიმართება. ამ სურათზე ჩვენი ქვეყნის ნაკრების კაპიტანს ხედავთ ევროპის თასით ხელში, რომელიც საბჭოთა სპორტსმენებმა კიევში მეორედ მოიპოვეს.

ამერიკელი მძლეოსნები რამდენიმე ათეული წელია ბატონობენ საერთაშორისო სარბიელზე. თუ ადრინდელი მსოფლიო რეკორდების ცხრილებს გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ რეკორდების აბსოლუტური უმეტესობა მათ ეკუთვნით. ამერიკელები თითქმის მუდამ მთელი სეზონის მანძილზე საუკეთესო სპორტულ ფორმაში არიან და ბრწყინვალე შედეგებსაც აჩვენებენ.

რამ განაპირობა მათი ასეთი წარმატება?

ერთ ხანს ამას მასობრიობით ხსნიდნენ, მაგრამ მალე მძლეოსნობა ევროპაშიც საკმაოდ მასობრივი გახდა, შედეგები კი მეტისმეტად ნელა იზრდებოდა. მაშინ დაიწყეს სხვა მიზეზების ძიება და „მიაკვლიეს“ კიდეც. საქმე ისაა, რომ ამერიკაში ტურნირები დახურულ დარბაზებშიც ტარდება. იქ თითქმის ყველა დიდ ქალაქში კარგა ხანია არის მანეგები, რომელთა კარი მძლეოსნური ზაფხულის მიწურვისთანავე იღება.

60-ან წლებში ევროპაშიც დაიწყეს მძლეოსნური მანეგების აგება და ზამთრის პირველი შეჯიბრებებიც გაიმართა. ევროპელმა მძლეოსნებმა მალე შეუტიეს ამერიკელთა მსოფლიო რეკორდებს.

და აი, 1966 წელს მძლეოსნობის ევროპული ფედერაციის გადაწყვეტილებით დორტმუნდში (გფრ) კონტინენტის ზამთრის პირველი ჩემპიონატი ჩატარდა. ერთი წლის შემდეგ ამ ტურნირს პრაღა მასპინძლობდა. ამჯერად, მონაწილე გუნდების რიცხვი თითქმის ორჯერ გაიზარდა, მაჩვენებლებიც საკმაოდ მაღალი იყო. მაშინ გადაწყდა, რომ ევროპის მძლეოსანთა ზამთრის ჩემპიონატები ტრადიციად ექციათ. III პირველობის ჩატარება მადრიდს დაევალა. წლეულს შეჯიბრება 9-10 მარტს გაიმართება.

საბჭოთა ათლეტები კონტინენტის წინა ჩემპიონატებში სასახელოდ გამოვიდნენ, მაგრამ მათ დიდად არც გფრ-ის, გდრ-ის, პოლონეთის, ინგლისის, საფრანგეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების მძლეოსნები ჩამორჩებოდნენ.

III ჩემპიონატისთვის სამზადისი ყველგან ზაფხულის სეზონის დამთავრებისთანავე დაიწყო. ამას წინათ კი მომავალმა მეტოქეებმა ლენინგრადის, ტალინის, რიგისა და მოსკოვის მანეგებში მოსინჯეს ძალა.

საერთაშორისო ტურნირები ჩატარდა გფრ-ის, გდრ-ის, საფრანგეთისა და იუგოსლავიის მანეგებშიც, სადაც რამდენიმე მაღალი შედეგი ნაჩვენები. ჩვენში ჩატარებული საერთაშორისო ტურნირებისა და სსრ კავშირის ზამთრის პირველობის საუკეთესო მაჩვენებლები უკვე გაგაცანით. გამოვაქვეყნეთ სხვა ქვეყნებში ნაჩვენები შედეგებიც. ახლა მოგაწვდით კიდევ რამდენიმე ცნობას: ე. ბურნელეიტმა (გდრ) 800 მეტრი 2 წუთსა და 6,2 წამში გაირბინა. მანამდე ზამთრის სეზონში ამ შედეგისთვის არც ერთ მძლეოსან ქალს არ მიუღწევია. ამერიკელმა რ. ბიმონმა სიგრძეზე ხტომაში მსოფლიო მიღწევა ჩამოართვა ი. ტერ-ოვანესიანს, ვ. სანეევმა სამსტომში ევროპის რეკორდი დაამყარა (16,65). იმედია, მომავალი შეჯიბრება მიღწევათა ცხრილში კიდევ რამდენიმე შესწორებას შეიტანს.

გაგაცნობთ მსოფლიოსა და ევროპის მიღწევებს დარბაზებისთვის:

დისტანცია	მსოფლიოს მიღწევა		ევროპის მიღწევა	
ქალები				
50 მ	6,0	ბ. ფერელი (აშშ)	6,1	ი. პრესი (სსრკ)
60 იარდი	6,5	უ. ტაიესი (აშშ)	6,8	მ. ტრანტერი (ინგლისი)
60 მ	7,2	ე. კლობუკოვსკა	(პოლონეთი)	
400 მ	54,0	ჯ. სმითი (აშშ)	55,7	უ. ჰემპრიხი (გფრ)
800 მ	2.06,2	ე. ბურნელეიტი (გდრ)		
50 მ თარჯრბენი	6,9	კ. ბალცერი (გდრ)		
სიმაღლე	186	ი. ბალაში (რუმინეთი)		
სიგრძე	673	ტ. შჩელკანოვა (სსრკ)		
ბირთვი	18,25	ნ. ჩიჟოვა (სსრკ)		
ვაჟები				
50 მ	5,4	უ. ჰეინსი (აშშ)	5,5	პ. რედფორდი (ინგლისი)
60 იარდი	5,9	რ. ჰეიესი (აშშ)	6,0	ბ. კულმანი (გფრ)
60 მ	6,4	ფ. პანკრატოვი (სსრკ)		
400 მ	46,5	თ. სმითი (აშშ)	47,6	მ. კინდერი (გფრ)
800 მ	1.47,4	თ. ნელსონი (აშშ)	1.48,6	ი. ბალკე (გფრ)
1.500 მ	3.40,7	მ. ეაზი (საფრანგეთი)		
1 მილი	3.56,4	ტ. ოჰარა (აშშ)	3.58,2	ი. მაი (გდრ)
2 მილი	8.27,2	კ. პირსი (ავსტრალია)	8.36,2	ი. მაკ-კაფერტი (ინგლ.)
3.000 მ	7.49,0	ზ. ჰერმანი (გდრ)		
50 მ თარჯრბენი	6,4	ე. ოტოზი (იტალია)		
60 იარდი თარჯრბენი	6,8	ბ. ჯონსი (აშშ)	7,0	ე. ოტოზი (იტალია)
სიმაღლე	223,5	ვ. ბრუმელი (სსრკ)		
სიგრძე	825	რ. ბიმონი (აშშ)	823	ი. ტერ-ოვანესიანი (სსრკ)
ჭოკი	529	ბ. სიგრენი (აშშ)	518	ა. ალაროტი (ფინეთი)
სამსტომი	16,70	ა. უოკერი (აშშ)	16,65	ვ. სანეევი (სსრკ)
ბირთვი	20,67	ნ. სტეინჰაუერი (აშშ)	19,26	ნ. კარასიოვი (სსრკ)

გუშინ...

ზამთრის რესპუბლიკურ საცურაო აუზში გაიმართა სსრ კავშირის წყალბურთელთა ჩემპიონატის III ტურის მატჩები. შეხვედრათა შედეგები ასეთია: სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი) — „ბალტიკა“ (ლენინგრადი) 3:4, „დინამო“ (ლვოვი) — „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) 6:4, „დინამო“ (თბილისი) — კასპიის ფლოტილია (ბაქო) 3:3, მოსკოვის უნივერსიტეტი — „დინამო“ (მოსკოვი) 3:3, „ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (კიევი) 2:3.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 მარტისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ბალტიკა“ (ლენინგრადი)	3	3	0	0	11:8	6
სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი)	3	2	0	1	11:6	4
„დინამო“ (კიევი)	3	2	0	1	8:6	4
„ტორპედო“ (მოსკოვი)	3	1	1	1	10:6	3
მოსკოვის უნივერსიტეტი	3	1	1	1	11:9	3
„დინამო“ (მოსკოვი)	3	0	3	0	11:11	3
კასპიის ფლოტილია (ბაქო)	3	0	3	0	9:9	3
„დინამო“ (თბილისი)	3	0	2	1	9:10	2
„დინამო“ (ლვოვი)	3	1	0	2	7:13	2
„სპარტაკი“ (ვოლგოგრადი)	3	0	0	3	6:15	0

გაზეთ „ლელოს“ მორიგი ნომერი გამოვა 10 მარტს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ზამთრის რესპუბლიკური საცურაო აუზი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ)

8—14 მარტი

წყალბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

შეხვედრათა კალენდარი

8 მარტი

17 ს. „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) — „ტორპედო“ (მოსკოვი)

18 ს. „ბალტიკა“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (ლვოვი)

19 ს. „დინამო“ (თბილისი) — მოსკოვის უნივერსიტეტი

20 ს. კასპიის ფლოტილია (ბაქო) — „დინამო“ (კიევი)

21 ს. „დინამო“ (მოსკოვი) — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი).

9 მარტი

17 ს. „დინამო“ (ლვოვი) — „დინამო“ (მოსკოვი)

18 ს. „დინამო“ (კიევი) — „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი)

19 ს. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი).

20 ს. მოსკოვის უნივერსიტეტი — კასპიის ფლოტილია (ბაქო)

21 ს. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ბალტიკა“ (ლენინგრადი).

კალათბურთი. სპორტის სასახლე. ვაჟთა გუნდების საკავშირო პირველობა. „ა“ კლასი. 7-8 მარტი. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „კალევი“ (ტარტუ). დასაწყისი 20 ს.

ფეხბურთი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 8 მარტი. „ენძელას“ თასის გათამაშება. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ზარია“ (ლუგანსკი). დასაწყისი 15 ს.

7-8 მარტი

ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრებები: **მძლეოსნობა:** „დინამოს“ სტადიონი. დასაწყისი 11 ს. **ცურვა.** ზამთრის რესპუბლიკური დახურული საცურაო აუზი. დასაწყისი 10 ს. **წყალში ხტომა.** ზამთრის რესპუბლიკური დახურული საცურაო აუზი. დასაწყისი 12 ს. **ჩოგბურთი.** ქალაქის სპორტკავშირის საჩოგბურთო კორტები. დასაწყისი 11 ს. **ფარიკაობა.** „ბურევესტნიკის“ სპორტდარბაზი (კიროვის სახ. პარკი). დასაწყისი 11 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. 6 УЕ 07422